ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2559 სამშაბათი, 20 ივლისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2559

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გიორგი, ივანე თეიმურაზის ძენი, ნინა და ელისაბედ თეიმურაზის ასულნი და შიო ზაქარიას ძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველნი—დაუვიწყარის მამისას, ხოლო უკანასკნელი საყვარელის ძმისას

თეიმურაზ ზაქარიას ძის კაპანაძისას.

გამოსვენება იქნება სამშაბათს, 20 ივლისს, დილის 10 საათზე ქ. გორში, საკუთარის სახლიდან გორის ღვთის მშობლის მიძინების სობოროში. პანაშვიდები დილით 10 საათზე და საღამოთი 8 საათზე. (2—2)

ქალაქ ნიცაში, 17 ივლისს, გარდაიცვალა

კნ. ბარბარე სოლომონის ასული ნაკაშიძისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის შვილები **ილია, ლევან, ნიკოლოზ, ივანე** და **ალექსანდრე პეტრეს ძენი ნაკაშიძეები.**

წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კალოუბნის ეკლესიაში ოთხშაბათს, 21 ივლისს. (2—1)

ფოთის საბუხჰალტერო კურსები

(წლიწადი მეხუთე)

სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან და გრძელდება ერთი წელი და ორი თვე. კურსებზე ღებულობენ როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. ასწავლიან: 1) საერთო ბუხჰალტერიას მარტივი და ორკეცი სისტემისა. 2) სპეციალურ ბუხჰალტერიას სხვა-და-სხვა დაწესებულებათა: ბანკების, ქარხნების, აქციონერულ საზოგადოებების, დიდ მაღაზიების და სხვათა ამ გვართა. 3) სავაჭრო არითმეტიკას. 4) სავაჭრო ეკონომიას. 5) სავაჭრო გეოგრაფიას. 6) სავაჭრო და სათამასუქო კანონებს. 7) სავაჭრო მიწერ-მოწერას და 8) კალიგრაფიას.

კურსების დამაარსებელი **კ. გიგინეიშვილი.**

მსურველთ პროგრამებს უგზავნის უფასოდ. (25—6.—7)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დღით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მუღნინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხოზოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.

მ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

მ. მ. ხოზოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაკტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б. (წლ.) ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს **თვალით ავადმყოფებს** ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან).

ქუთაისში
სასტუმრო „როსია“
ამა 1904 წლის პირველ მარიამობისთვიდან გადადის **ნიკოლაძის** სახლებში გიმნაზიის ქუჩაზე ქალაქის ბულვარის პირდაპირ მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გვერდით. (15—კ. ნ.—13)

შემთხვევით
იაფად იყიდება
ორთქლით (паровая) მომუშავე მანქანა 20 ძალისა—ქვაბით და ორთქლით მომუშავე წისქვილი. ამიერ კავკასის რკინის გზის სად. ძეგამიდან 70 საჟენის მოშორებით. ადრესი: სად. ელისავეტპოლი И. Ясевичу. (3—3421—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 ივლისი

პეტერბურგი. გენერალის სახაროვის დეპეშები, მთავარ შტაბს 17 ივლისს: 1. „მანჯურიის ჯარის ფრონტზე 17 ივლისამდე ახალი ცვლილება არ მომხდარა. იაპონელები ბლომა ჯარს უყრიან თავს ჩვენის სამხრეთ ფრონტის პირდაპირ. 16 ივლისს იაპონელებმა წინ გამოილაშქრეს და დაიჭირეს უღელტეხილი რკინისგზასთან. ხუნჯუტუნის აღმოსავლეთით ჩვენის ზარბაზნების მეოხებით აფეთქებულ იქმნა იაპონელთა ყუმბარების ყუთი. სიმუჩენის მხრისკენაც იაპონელები წინ მოდიან. იმათი ჯარი მოდის როგორც ფრონტზე, ისე მემარცხენე ფრთეზე ჩვენის პოზიციის წინაამდეგ. ეს პოზიცია კანგუალინთანაა. ამ პოზიციიდან ჩვენმა ჯარმა ზარბაზნებისა და თოფების სროლა დაიწყო და იაპონელები შეჩერდნენ. როგორც ეტყობოდათ, იაპონელები დასაზვერად მოდიოდნენ“. 2. „ლონდონში მყოფმა იაპონიის საელჩომ გამოაქვეყნა გენერალ ოკუს დეპეშა ბრძოლის შესახებ. ამ დეპეშაში ნათქვამია, რომ 11 ივლისს იაპონიის ჯარი თავს დაეცა რუსის ჯარის ძლიერ გამაგრებულ პოზიციებს დაშიჩაოსთან, ამასთან რუსის ჯარი ხუთ დივიზიისა და 100 ზარბაზნისაგან შესდგებოდაო. რამდენიმე იერიშის შემდეგ იაპონელებმა გათენებამდე დაიჭირეს რუსის პოზიციები და რუსები დაშიჩაოსკენ განდევნესო. ნამდვილად კი ომში ბევრად უფრო ნაკლებმა ჯარმა მიიღო მონაწილეობა. ჩვენ პოზიციებზე განსაკუთრებული სიმაგრეები არ იყო გამართული. ეს პოზიციები იმიტომ გვეჭირა, რომ მხოლოდ შეგვეჩერებინა მტერი. იაპონელებმა რამდენიმე იერიში მოიტანეს, მაგრამ დაღამებისას იერიში შესწყდა. თუმცა თოფის სროლამ შუაღამემდე გასტანა, მაგრამ პოზიციები მაინც შევინარჩუნეთ. თავი მივანებეთ პოზიციებს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენის ჯარის უფროსმა შესაძლებლად ვერა სცნო ბრძოლა დაეწყო იაპონელებთან მეორე დღეს, რადგან პოზიციების სიგძე 16 ვერსი იყო. ჩვენის ჯარის პოზიციებიდან წასვლა მოულოდნელი იყო იაპონელთათვის“.

სახალინი. სახალინზე სიწყნარეა.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი სწერს: დაშიჩაოს აღების შემდეგ, იაპონელების მეორე და მესამე არმია ხაიჩენისაკენ გაილაშქრებენ. გენ. ოკუსა და გენ. ნოძუს არმიები ეხლა შეერთდნენ და, რასაკვირველია, ერთად დაეცემიან ხაიჩენს. ძნელი გამოსაცნობია, როგორ მოიქცევა გენ. კუროპატკინი, შეებრძოლება ხაიჩენთან იაპონელებს, თუ არა, მაგრამ ადვილად შესაძლებელია, რომ ხაიჩენიც დაშიცაოსა და ინკოუსავით მიატოვოს და ლიაოიანისაკენ დაიხიოს. გენ. ოკუსა და

ფელეტონი

წერილები პარიზიდან

IX

სწავლა-განათლების დღესასწაული და საფრანგეთის დიდებული შვილი ჟან მასე.

19 (6) თიბათვეს პარიზი და საზოგადოდ მთელი საფრანგეთი დიდის ამბითა და ზეიმით დღესასწაულობდა იმ დღეს, რა დღესაც აღიძრა კითხვა ფრანგთა შორის უსასყიდლო, სავალდებულო და საერისკაცო სწავლის შემოღების შესახებ.

1872 წლის 19 (6) თიბათვეს ტლანქი ურემი მძიმედ მიდიოდა ვერსალში რეზერუარის ქუჩის კარებისაკენ, სადაც „საერო კრებას“ თვისი კანცელარია ჰქონდა. ამ ურემს თან 12 კაცი მიჰყვებოდა.

ურემზე დაზვინებული იყო ქაღალდების კონები, რომლებიც ორას კილოგრამზე მეტს იწონიდა. ეს თავისებური ტვირთი თხოვნები იყო. ზედ 1,267,267 კაცს ეწერა ხელი და ეს ხელისმომწერნი თავიანთ მიერ არჩეულ წევრებს საერო კრებისას სთხოვდნენ აღეძრათ კითხვა საფრანგეთში სავალდებულო, უსასყიდლო და საერისკაცო სწავლების შემოღების შესახებ.

წინაც ამ ისტორიულ ურემს მიუძღოდა ჟან მასე, 1866 წელს ფრანგთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების დამაარსებელი.

ამ საქმის განსახორციელებლად მოძრაობა საფრანგეთში ჯერ ისევ 1870 წელს დაიწყო. სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში „წერა-კითხვის გამავრცელებელ ლიგის“ კომიტეტი დაარსდა. იმავე 1870 წლის 15 მკათათვეს ამ კომიტეტმა 350,000 ხელის-მომწერი იშოვნა.

მაგრამ ფრანგთა და გერმანელთა შორის ამტყდარმა ომმა პროპაგანდის საქმეს ხელი შეუშალა. ნაომევს სტრასბურგის კომიტეტის მიერ დაწყებული საქმე განაახლა პარიზის განყოფილებამ „წერა-კითხვის გამავრცელებელ ლიგისამ“. საქმის წარმოებისათვის საჭირო ხარჯისათვის და აგრეთვე იმისთვის, რომ ხელის-მოწერას მეტი სიმტკიცე და გავლენა ჰქონოდა, მეთაურნი თითოეულს ხელის-მომწერს თითო სუს (ორ კაპიკს) ართმევდნენ. ამიტომ ამ მოძრაობას სახელად დაერქვა „ერთ სუიანი ნაციონალური მოძრაობა უვიცობის წინაამდეგ“. პარიზში ამ მოძრაობას თავში უდგა ემანუელ ვოშე. ვოშეს მხარს აძლევდა პროვინციაც და მოძრაობა დღითი-დღე იზრდებოდა. 15 ოქტომბერს 1871 წელს ამის შესახებ მოწოდების წერილებიც დაგზავნეს ყველგან.

რეაქციონურმა პარტიამ იგრძნო, თუ რა ხიფათს უმზადებდნენ და ამხედრდა ამ მოძრაობის შესაჩერებლად. კლერიკალებმა ჟან მასეს თხოვნის საწინააღმდეგო თხოვნა შეადგინეს (ეპისკოპოსთა თხოვნა) და თანაც თავიანთს პროტესტს აცხადებდნენ: სავალდებულო სწავლების შემოღება შეურაცყოფს თავისუფლებას და ღირსებას ოჯახის უფროსთათ. ვინც სახელმწიფო სამსახურში მყოფი აწერდა ხელს ამ თხოვნას, უფროსისაგან ისჯებოდა. ზოგიერთ მასწავლებელთ ემუქრებოდნენ,—სამსახურიდან დაგითხოვთ, თუ კონტრ თხოვნას ხელს არ მოაწერთო. თვით მაშინდელი მინისტრი საერო განათლებისა ამ კონტრ-თხოვნას ხელს აფარებდა.

1872 წელს წარმოდგენილი თხოვნები არხივში დააწყეს. საერო კრებას უნდა დაენიშნა ერთი დღე ამ კითხვის შესახებ მოსალაპარაკებლად და სათანადო კანონის გამოსაცემად. კლერიკალებმა იმდენი იმეცადინეს, რომ ეს საქმე მთელის 7 წლის განმავლობაში მიძინებული ამყოფეს; არხივში დაწყობილ თხოვნების გარჩევა არავის მოჰგონებია. მაგრამ სიმართლემ ბოლოს მაინც გაიმარჯვა და 1879 წელს დაუწყეს გარჩევა იმ კითხვას, რომელსაც ესდენი მნიშვნელობა ჰქონდა მთელის საფრანგეთის ხალხის განათლებისა და წინმსვლელობისათვის. ხოლო 16 ივნისს 1881 წ. და მარტს 1882 წ. უკვე გაიყვანეს კიდეც აწ არსებული სასკოლო კანონი.

აი, ამ სასკოლო კანონის შემოღებას დღესასწაულობდა 19 ივნისს საფრანგეთი... მაგრამ ვიდრე საფრანგეთის სკოლისა და მასწავლებელთა დღესასწაულის შესახებ ვიტყოდეთ რასმე, საჭიროდ მიგვაჩნია თვალი გადავავლოთ წარსულს და განსაკუთრებით ყოველად სახიერს ვინაობას იმ კაცისას, სავალდებულო, უსასყიდლო და საერისკაცო ხასიათის სკოლა რომ დაუარსა საფრანგეთსა. ეს კაცი იყო ჟან მასე. მისი ცხოვრება როგორც პედაგოგისა და როგორც პროპაგანდისტისა, მეტად და მეტად საყურადღებოა ყველასათვის, ვისაც გული შესტკივა კაცობრიობისათვის, ვისაც აინტერესებს ხალხში წერა-კითხვის გავრცელების საქმე.

ჟან მასე დაიბადა პარიზში 1815 წლის 15 თებერვალს. მშობლები მეტად ღარიბი ჰყავდა. მამა მისი ხელით დაათრევდა პატარა ორთვალა ურემს ქუჩა-ქუჩა და ხილსა და მწვანილს ჰყიდდა. უსწავლელმა, გარნა ღვთის მოშიშმა დედამ შვილიც ღვთის შიშში გამოზარდა. პატარა ჟანი სტანისლავის კოლეჯში მიიღეს სახელმწიფო ხარჯზე და ჩინებულადაც დაათავრა ეს სასწავლებელი. ერთს ხანს კერძო მასწავლებლადაც იყო, მაგრამ მალე ჯარში გაიყვანეს. მისმა ისტორიის პროფესორმა მის მაგიერ ფული შეიტანა, ჯარის-კაცობისაგან დაიხსნა და თავის მდივნად გაიხადა.

ძნელი იყო კაცს ეთქვა, ამ ხანებში ჟან მასე რა მიმართულებისა იყო. ეტყობოდა-კი, რომ მისი გონება აღზრდით შეთვისებულ აზრებს ცხარე ომს უცხადებდა. 1848 წლის რევოლუციამ გამოარკვია, თუ რა გზას უნდა დასდგომოდა ცხოვრებაში.. მისის ზრუნვის საგანი შეიქმნა ხალხი, დაჩაგრული და უპატრონო ხალხი; ხალხს საზრდო სჭირია, საზრდო ხორციელი და სულიერი. ყოველისავე მისის ტანჯვის მიზეზი—მისი გონებრივი სიბნელე არისო. და აჰა რესპუბლიკის მომხრე ჟან მასე შეიქმნა ცხარე მქადაგებელი სახორციელო აზრთა სწავლა-აღზრდის საქმეში.

იმ ხანებში მასე აქტიურად ერევა პოლიტიკაში და მხურვალე მონაწილეობას იღებს სიტყვით თუ საქმით საზოგადოების გამოღვიძებაში. ავრცელებს სოციალისტურ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს როგორც პარიზსა, ისე პროვინციაში. პოლიციამ დევნა დაუწყო. მაშინ მასე პარიზს თავს ანებებს, მიდის ალზასში, სახელდობ ქალაქ ბებლენჰეიმში, და იქ ერთს ქალთა პანსიონში მასწავლებლადა დგება.

ამ პანსიონში ჟან მასე რამდენისამე წლის განმავლობაში ხალისით ასწავლის ბავშვებს ბუნების მეტყველებასა და ზნეობას. თანაც სცდილობს სწავლა სახალისოდ გახადოს, ბავშვებს შეაყვაროს, თვით სწავლებაში ახალი მეთოდი შეიტანოს, ბავშვებს იგავისა და არაკის სახით ასწავლოს ყოველივე განყენებული საგნები. მასეს კალამს ეკუთვნის ცოცხლად, მიმზიდველად მომხიბვლელის სიმარტივით დაწერილი წიგნები: „ლუკმა-პურის ამბავი“ (ქართულად თარგმნილი

გენ. ნოძუს, ორივეს ერთად, 6 დივიზია ჯარი (157 ათასი კაცი) ეყოლებათ და 488 ზარბაზანი ექნებათ. გენ. ოკუ და ნოძუ სამხრეთიდან მიიტანენ ლიაოიანზე იერიშს. ამავე დროს გენ. კუროკი ჩრდილოეთიდან მოუვლის ლიაოიანს. გენ. კუროპატკინის დეპეშაში ეწერა, იაპონელებმა ზოგი ჯარი ლიაოიანის დიდის გზიდან ზევით სიხეიანისაკენ საიმძი-ლიაოიანის გზაზე გადაიყვანესო. პირველ არმიის უფროსი, ალბად, თავის უმთავრეს ჯარს (80—90 ათასს) მუკდენისაკენ და სიხეიანისაკენ გაჰგზავნის; მოდულინისა და ფინშუილინის უღელტეხილების წინ-კი მხოლოდ იმდენ ჯარს დააყენებს (მაგალ. 30 ათასს), რომ რუსის ჯარმა ეს უღელტეხილები არ დაიჭიროს და პირველ არმიას გვერდიდან არ მოექცეს. რაღა თქმა უნდა, გენ. კუროპატკინიც შესაფერ ღონისძიებას მიიღებს და გენ. კუროკის წინააღმდეგ ჯარს გაჰგზავნის. საქმე ისე მიდის, რომ მალე ლიაოიანთან დიდი ბრძოლა უნდა მოხდეს. გენ. კუროპატკინისათვის ყველაზე საშიში იაპონელების პირველი არმიაა. გენ. კუროკის სხვა არმიებზე მეტი ჯარი ჰყავს (130 ათასი კაცი ჰყავს და 300 ზარბაზანი და ტყვიის მტყორცნელი აქვს) და ლიაოიანიდანა და მუკდენიდან სულ რამდენისამე დღის სავალზე დგას. მართალია, გენ. კუროკი რამდენიც წინ წავა, იმდენი უფრო დაჰშორდება თავის ბაზას-შახეზდას (მდ. იალუზეა, გენ. კუროკის აქედან მოსდის საკვები და სამხედრო სურსათი და მაშველი ჯარი. შახეზდას ანდუნსაც ეძახიან); ჯერ ეხლავე 175 ვერსზე დაჰშორდა თავის ბაზას; მუკდენამდე რომ მივიდეს, ხომ უფრო დაჰშორდება; შახეზდადან მუკდენამდე 235 ვერსია, შორის გზით 300 ვერსტიცაა. მაგრამ ეს სიშორე მაინც ვერ დაუშლის გენ. კუროკის მუკდენისაკენ გალაშქრებას. სამხედრო ისტორიაში ყოფილა მაგალითები, რომ ზღვით მოსული არმია უფრო მეტს მანძილზეც დაჰშორებოდეს თავის ბაზას. 1813—1814 წელს ინგლისის არმია ველინგტონის უფროსობით სენ-სებასტიანის პორტში (ესპანიაშია). გადავიდა ხმელეთზე, 350 ვერსი გაიარა, პირინეის მთა გადაიარა, მარშალი სულტი დაამარცხა და ტულუზამდე მივიდა. ნუ დავივიწყებთ, რომ 1878 წელს რუსის ჯარი სან-სტეფანომდე მივიდა, ასე რომ მდ. დუნაის მოკლეს გზით 450 ვერსზე დაჰშორდა და რუსეთის საზღვარს—900 ვერსზე. ზოგს იმედი აქვს, გენ. კუროკი 250-300 ვერსზე ვერ დაჰშორდება თავის ბაზასაო, მაგრამ ეს ვერაფერი იმედიაო.“.

ცნობილი რუსის გენერალი დრაგომიროვი-კი სულ სხვას ამტკიცებს სამხედრო გაზ. „რაზვედჩიკ“-ში. გენერალი სწერს: იაპონელები არას დროს არ დაჰშორდებიან თავიანთ ბაზას—ზღვას და ჩრდილოეთისაკენ შორს არ გაილაშქრებენო, მით უმეტეს რომ იაპონელი სარდლები მხოლოდ ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულის დაჭერასა და პორტ-არტურის აღებას ცდილობენ, სხვას არაფერსაო. გენ. კუროკი ფინხუანჩენში დგას და თავის უმთავრეს ჯარს არც დასძრავს იქიდანაო; იქნება მოწინავე რაზმები გაგზავნოს კიდევაც განგებ მოსაჩვენებლად ლიაოანისაკენ, მაგრამ გენ. კუროკიცა და გენ. ოკუც თავიანთ ბაზას—ზღვას არ დაჰშორდებიანო; გენ. შტაკელბერგის კორპუსი რომ სამხრეთისაკენ არ წასულიყო, იაპონელი სარდლები დღემდე თავ-თავიანთ ადგილებზე ისხდებოდნენ: გენ. კუროკი ფინხუანჩენში, გენ. ოკუ ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულის ბოლოში, მართალია, დღეს იაპონელების ჯარმა ყველა მხრიდან წინ გაილაშქრა, მაგრამ შორს მაინც არ წავა და თავის ბაზას—ზღვას არ დაჰშორდება, რასაკვირველია, თუ წინანდებურად ყველაფერი ზღვით შინიდან მისატანი ექნება და ჩინეთის შველისა და დახმარების იმედი არ ექნებაო.

როგორც ვიცით, სამხედრო მიმომხილველების უმეტესობა ერთ პირად ჰფიქრობს იაპონელები ამ ჟამად უმთავრესად ლიაოხეს ველის დაჭერასა და გენ. კუროპატკინის ჯარის დამარცხებას ცდილობენ. და ლიაოიანისა და მუკდენისაკენ უსათუოდ გაილაშქრებენო. ამას იქით იაპონელები თავიანთ ბაზად ინკოუს გაიხდიან და იქიდან ყველაფერს რკინის გზითა და ნავებით (მდინარე ლიაოხე) ადვილად მიაწვდიან თავიანთ ჯარსაო.

ფრანგულ გაზეთების სამხედრო თანამშრომლები თითქმის ერთხმად ამბობენ, იაპონელები ლიაოიანისაკენ გაილაშქრებენ, იქ უსათუოდ დიდი ბრძოლა მოხდებაო. („რ. ლ.“).

სამხედრო მიმომხილველები თითქმის ერთხმად ირწმუნებიან, ლიაოიანთან უთუოდ დიდი ბრძოლა მოხდებაო, მაგრამ „ტაიმს“-ის კორესპონდენტი არ ეთანხმება ამ აზრს. კორესპონდენტი იუწყება გენ. კუროკის მთავარ სადგომიდან: დარწმუნებული ვარ, რომ გენ. კუროპატკინი დიდ ბრძოლას მოერიდება და რამდენისამე მედგარის შეტაკების შემდეგ მუკდენისაკენ დაიხევსო.

„სტანდარდ“-ის კორესპონდენტიც ჰფიქრობს, საქმე დიდ ბრძოლამდე არ მივაო. („ნ. დ.“)

„ბერლ. ლოკალ ანცაიგერ“-ის კორესპონდენტი იუწყება ლიაოიანიდან: 12 ივლისი. ჩვენი ცენზორები დაშიჩაოდან ლიაოიანში გადასახლდნენ. ამიტომ ჩვენც იქ წავედით. იქნება იაპონელები მუკდენს-კი არა და სადგურ იანტაის-კი (ლიაოიანის ჩრდილოეთითაა) დაეცნენ; იანტაის ახლო ქვანახშირის მადნებია. ხუნხუზები ეხლა უფრო მხნედ მოქმედებენ. კარგი ამინდი დგას. („ნ. დ.“).

„რეიტერის სააგენტო“-ს კორესპონდენტი იუწყება გენ. კუროკის მთავარ-სადგომიდან: 9 ივლისი, ხუთის დღის ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა საუკეთესო სტრატეგიული პოზიციები დაიჭირეს ლიაოიანის და მუკდენის გზაზე. („ნ. დ.“).

ნიუჩუანიდან დეპეშით ატყობინებენ „დეილი მეილ“-ს: 14 საათის გამწვავებულის ბრძოლის შემდეგ რუსებმა დაშიჩაო მიატოვეს და ხაიჩენისაკენ დაიხიესო.

ამბობენ, 11 ივლისს, დაშიცაოსთან ბრძოლის დროს 2 რუსის გენერალი დასჭრესო. („რ ს.“).

„ლოკალ ანცაიგერ“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება ტიანძინიდან: ინკოუდან რომ მიდიოდნენ, რუსებმა ის ნავთ-სადგური დასწვეს, სადაც „სივუჩ“-ი იდგა. („რ. ლ.“).

ფრანგულ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ ნიუ-ჩუანიდან (ინკოუდან): 12 ივლისს ინკოუში იაპონელი მზვერავი რაზმი მოვიდა და პირდაპირ რუსის უფროს მოხელის სახლისაკენ გაემართა. საფრანგეთის კონსულმა გამოუცხადა იაპონელ აფიცრებს, რუსების უძრავი ქონება მე მაბარიაო. რუსის სახლებზე საფრანგეთის ბაირაღია გაშლილი. იაპონელებს ამაზე ხმა არ ამოუღიათ. („რ. ვ.“).

სამხედრო მიმოხილველები ირწმუნებიან, მანჯურიაში ეხლა წვიმების პერიოდი დაიწყება და სამხედრო მოქმედება ძალა უნებურად შეჩერდებაო. გენ. კუროპატკინს ამ დროს ბევრი ახალი ჯარი მიუვა და რა-წამს წვიმები გათავდება, რუსის მთავარ-სარდალი იერიშს მიიტანს იაპონელებზე და სამხრეთ მანჯურიიდან განდევნისო. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი ს. კ.—ს. აზრით, წვიმების პერიოდი გათავდა კიდევაც. ბ-ნი ს. კ. სწერს: ეტყობა, წვიმების პერიოდი თავდება. ივლისი (ახ. სტ.) გათავდა კიდევაც და აგვისტოს (ახ. სტ.) დამდეგს მანჯურიაში წვიმა გადიღებს და კარგს ამინდს დაიჭერსო.

იაპონურ გაზეთების კორესპონდენტები დეპეშით იუწყებიან ცაოხეკოუდან (გენ. კუროკის მთავარ-სადგომიდან): 3 ივლისს იაპონელების ქვეითა ჯარისა და კავალერიის რაზმმა რუსის კავალერიის რაზმზე—300 კაცზე—იერიში მიიტანა ცანჩანპუძისთან. რუსებმა მედგარი წინაამღდეგობა გაუწიეს იაპონელებს, მაგრამ ბოლოს მაინც უკან დაიხიეს და ბრძოლის ველზე 6 მოკლული და 26 დაჭრილი დასტოვეს. რუსებს ამ ბრძოლის დროს 2 ზარბაზანი ჰქონდათ 8 ივლისს იაპონელების მზვერავი რაზმი რუსის კავალერიის რაზმს—200 კაცს—შეეხეჩა ჩენსიფუგოუს ამხრეთით; რუსებმა უკან დაიხიეს, რუსის მზვერავმა რაზმმა—ერთი როტა ქვევითა ჯარი იყო—9 ივლისს დილითა და საღამოთი ნაპულინს ახლო იაპონელების მოწინავე რაზმებზე იერიში მიიტანა. ბოლოს რუსებმა უკან დაიხიეს და ბრძოლის ველზე 9 მოკლული დასტოვეს. მდინარე ტაიძიხეს მარცხენა მხარეს რუსებმა ყველგან ლიაოიანისაკენ დაიხიეს სიხეიანიც მიატოვეს და ეხლა იუშულინის უღელტეხილთან დგანან. მოდულინის უღელტეხილის გზაზე რუსები წინანდებურად ტანხეიუანთან (თხავეუანთან) დგანან. („რ. ს.“).

„ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება: გენ. კუროპატკინი ამ ჟამად ლიაოიანშიაო. („რ. ვ.“).

დაჭრილ გენ. რენენკამფს დეპეშა გამოუგზავნია პეტერბურგში: „მეტად მწყინს, რომ ასე უდრო-უდროოდ დამჭრეს. იმედი მაქვს, მალე დავბრუნდები ჯარში“.

„ეკო დე პარი“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: გენ. რენენკამფის დივიზიას დროებით გენ. ლიუბავინი უფროსობს; გენ. ლიუბავინი ძველი გამოცდილი გენერალიაო. („რ. ლ.“).

იაპონური გაზ. „მანჩახოო“ რუსეთისა და იაპონიის სამხედრო ხარჯებს ადარებს. გაზეთი სწერს: იაპონიის ჯარის მობილიზაცია 25,916,000 მან. დაუჯდა, რუსეთს—127, 734, 340 მ.; პროვიანტი და ცხენების საჭმელი: იაპონიას—37,508,200 მან., რუსეთს—112,962,640 მ.; პროვიანტის მო-

---

ბ-ნის ნიკ. ავალიშვილის-მიერ) „პატარა ქალთან მიწერილი წერილი ადამიანის და ცხოველთა ყოფა-ცხოვრების შესახებ“, „ბაბუას არითმეტიკა“, „კუჭის მსახურნი“ და მრავალი სხ.

მასე კმაყოფილი იყო ალზასში მასწავლებლობით, მისმა მეცადინეობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. მაგრამ მასე ამას მაინც არა სჯერდებოდა, იმას უფრო მეტი სწადდა, უნდოდა როგორმე ისე მოეწყო საქმე, რომ ხალხში წერა-კითხვა ადვილად გავრცელებულიყო,—ეს იყო მისი იდეალი, მისი ნატვრა იმას ოცნებობდა, რომ ყოველ სკოლასთან სამკითხველო დაარსებულიყო, შიგაც სასარგებლო წიგნები ყოფილიყო, და ეს წიგნები შეუწყვეტლივ ხელიდან ხელში გადასულიყო, ბავშვებს თავიანთის მშობლებისათვისაც გადაეცათ მისი აზრი და ფიქრი ორს რასმე ჰქონდა შეპყრობილი, ორი რამდა სწადდა. ეს ორი რამ იყო: დაარსება ყველგან სკოლისა, რომ ყველას წერა-კითხვა ესწავლნა; დაარსება წიგნთ-საცავისა; რომ წიგნს გადაეშალა თავისი სიმდიდრე და განძი პატიოსანი ყველასათვის, ვისაც სკოლაში კითხვა ასწავლეს. მასე სულ იმას იძახდა: სკოლის შემავსებელი და დამაგვირგვინებელი წიგნთ-საცავია. პირველი—გასაღებია სახლისა, მაგრამ მეორე-კი—თვითონ სახლია. ვისაც მხოლოდ გასაღები უჭირავს ხელში, ვერ დაიკვეხებს, ვარგადა ვარ დაბინავებულიო. მასემ თავის ნატვრის განსახორციელებლად ბებლენჰეიმში ქალაქის გამგეობასთან წიგნთ-საცავი დააარსა. მკითხველი მრავალი აღმოუჩნდა ახლად დაარსებულ წიგნთ-საცავს. ამის შემდეგ დიდ-ხანს არ გაუვლია, დააარსა წიგნთ-საცავთა საზოგადოება ზევით-რინისას. ამ საზოგადოებას ერთის წლის უკან 813 წევრი ჰყავდა. მოთხოვნილება და წიგნის კითხვის წყურვილი ისე გაიზარდა, რომ ამ მხარეში 1866 წელს 80 სახალხო წიგნთ-საცავი იყო.

წიგნთ-საცავთა დაარსებას თავის თავად უნდა მოჰყოლოდა დაარსება „წერა-კითხვის გამავრცელებელ“ საზოგადოებათა. 25 ოქტომბერს 1866 წ. ჟან მასემ ამის შესახებ მოწოდება გამოსცა. ყველას უხსნიდა: საჭირო და სასურველია ყველგან დაარსდეს საზოგადოება ისეთის პირთა, რომელთაც გულითა ჰსურთ ხალხის განათლებისათვის შრომა. სამის თვის უკან ასეთი საზოგადოება კიდეც დაარსდა. პირველი წევრები ამ საზოგადოებისა მდაბიონი იყვნენ: 1) ჟან პეტი—კალატოზი, 2) ანტუან მამი—რკინის გზის კონდუქტორი და 3) ლარმიე—ქალაქის სერჟანტი. საზოგადოების სალაროში პირველად 20 ფრანკი იდო, საწევრო შესატანი 5 ფრანკი იყო. მართალია, საქმე მეტად მოკრძალებულად დაიწყო, მაგრამ დიდი ხანი არ დასჭირებია წარმატებულიყო. 1867 წელს 6,000 წევრი ჰყავდა ამ საზოგადოებას, ხოლო 1870 წლის თებერვალში—17,856. დღეს კი ლიკა შეიცავს 3.000 ზე მეტს განყოფილებას და ყოველ განყოფილებაში წევრები მილიონობით ირიცხებიან.



ჟან მასე

(1815-1894)

სწავლა-განათლების ლიგის დანიშნულება, როგორც ჟან მასე სწერდა წესდების პირველ ორ მუხლში, შემდეგი იყო:

„მუხლი პირველი. სწავლა-განათლების ლიგას აზრადა აქვს მთელს საფრანგეთში გამოიწვიოს კერძო თაოსნობა სახალხო განათლების გავრცელებისათვის.

მუხლი მეორე. ლიგის საქმეა: 1) დაარსოს წიგნთ-საცავები და მოზრდილთ საჯარო ლექციები უკითხოს ხოლმე; დაარსოს სკოლები ერმასთათვის, სადა კი ეს საჭირო იქნება; 2) ხელი შეუწყოს და უმეტესად აღაყვავოს სადაც-კი ამგვარნი დაწესებულებანი უკვე არსებობენ.

მეტად მოკრძალებულად, თავმდაბლურად არის გამოთქმული მასეს აზრი ამ მუხლებში. თვით საქმის ინტერესი მოითხოვდა, მასე ასე ფრთხილად და თავდაჭერით მოქცეულიყო, რადგან იმპერიის მთავრობა სასტიკ თვალყურს ადევნებდა ყოველსავე, რაც ხალხის განათლების სასარგებლოდ კეთდებოდა. გარეგნობით რა გვარიც უნდა ყოფილიყვნენ ეს მუხლნი—სულ ერთი იყო, შიგ კაცი მაინც დაინახავდა, რომ მასეს დაწყებულ საქმეს ბრძოლა, ცხარე ბრძოლა უნდა გამოეწვია საეროს-კაცო, უსასყიდლო და სავალდებულო სწავლა-განათლების საქმისათვის.

1870 წლის ომის შემდეგ მასემ მომეტებულის მხნეობით განაგრძო დაწყებული საქმე, მხარში ამოუდგა ემანუელ ვოშე, მდივანი ლიგის პარიზის განყოფილებისა. ორმავე დასწერეს თხოვნა საეროს-კაცო, სავალდებულო და უსასყიდლო სწავლების შემოღების შესახებ და 1,267,267 კაცს ხელი მოაწერინეს. ეს თხოვნა, როგორც უკვე ვსთქვით, ვერსალში წაიღეს საერო კრების წინაშე წარსადგენად. თავმჯდომარედ იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ამ თხოვნების განხილვა, ეპისკოპოსი დუპანლუპი იყო. ეს ეპისკოპოსი წინააღმდეგი იყო ამ თხოვნისა და იმდენი იმეცადინა, რომ მთელის ერის სურვილს დაუყოვნებლივ არ მისცა გზა. ჟან მასეს და მისითა თანამშრომელთა კიდევ ათი წელიწადი უნდა ეცადნათ, სანამ დაინახავდნენ თავიანთის შრომის ნაყოფსა. საფრანგეთში მხოლოდ 16 ივნისს 1881 წ. და 28 მარტს 1882 წ. გაიყვანეს ის სასკოლო კანონი, რომელიც აგვირგვინებდა სწავლა-განათლების გამავრცელებელ ლიგის მეცადინეობასა.

ასე და ამ გვარად ჟან მასეს უნდა უმადლოდეს საფრანგეთის ერი, რომ ხელთ უპყრია შესანიშნავი იარაღი ეროვნულის განათლებისა; ჟან მასეს მხნეობის, თავგამოდებულ მუშაობის და თაოსნობის წყალობაა, რომ დღეს საფრანგეთის მივარდნილ სოფლის საზოგადოებასაც კი თავისი სკოლა აქვს და თავისი საკუთარი მასწავლებელი ჰყავს ერმათა გონების გასანათლებლად.

აი, ამ ჟან მასეს დღეს იგონებს საფრანგეთი 19 თიბათვეს; ამ ჟან მასეს ნამოქმედარს დღესასწაულობდა პარიზის ლიგა სწავლა-განათლებისა; ამ ჟან მასეს უხდიდა მადლობას მადლიერი ერი საფრანგეთისა. დღესასწაულის პროგრამა მრავალფეროვანი იყო. დაიწყო ცერემონიით, რომელიც გაიმართა დიდით ტროკადეროს სადღესასწაულო დარბაზში, სადაც ერთი ადგილი არ დარჩენილა ცარიელი (4,800 კაცს იტევს). ათასფერი ტანისამოსი, მოღიმარე, მხიარული სახე დამსწრეთა, მზის სხივებით უხვად განათებული დარბაზი მაყურებლის გულს შვებით და იმედით ავსებდა. ცერემონიას დაესწრო რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ-ნი ემილ ლუბე. მის შემოსვლაზე მეტრიბოთა გუნდმა შეასრულა ეროვნული საგალობელი „მარსელიეზა“ და თუ იმასაც მოვიხსენიებთ, რომ ეს გუნდი 700 კაცისაგან შესდგებოდა, მიხვდებით, რა დიდებული მოსასმენი უნდა ყოფილიყო მისს მიერ შესრულებული ნაციონალური ჰიმნი! ლუბეს მარჯვენა მხარს უმშვენებდნენ ბ-ნნი ფერდინანდ ბუისონი, თავმჯდომარე „წერა-კითხვის გამავრცელებელ“ ლიგისა, ბ-ნი კომბი, თავმჯდომარე მინისტრთა საბჭოსი და სხვა მინისტრნი; მარცხნივ უსხდნენ ემანუელ ვოშე, ერთი დამაარსებელთაგანი ლიგისა, საერო განათლების მინისტრი ბ-ნი შომიე და სხვა წარმომადგენელნი სწავლა-განათლებისა. ხოლო ესტრადაზე ჟან მასეს ბიუსტი იდგა, ფერად ბაირაღებით მორთული.

ტანი: იაპონიას—3,577,200 მ., რუსეთს—51,522, 680 მ.; ომის გამო მომატებულ ჯამაგირის მიცემა: იაპონიას—52,493,200 მ., რუსეთს—82,901,800 მ.; სამხედრო საავადმყოფოები: იაპონიას—3,511,200 მ., რუსეთს—4,712,000 მ.; საკვები და ტანისამოსი: იაპონიას—20,064,000 მ., რუსეთს—19,500,000 მ.; დახოცილი ცხენები და სხ.: იაპონიას—12,050,000 მ.; რუსეთს—14,450,000 მ.: სამხედრო რკინის გზები: იაპონიას—5,140,000 მ., რუსეთს—12,000,000 მ.; ყუმბარები ტყვია-წამალი და სხვ.: იაპონიას—47,124,750 მან.; რუსეთს—103,000,000 მანეთი; ეტაპები: იაპონიას—4,924,800 მ., რუსეთს—10,640,000 მ.; სულ იაპონიას ჯარზე—212,390,350 მ. დაეხარჯა, რუსეთს—539,474,460 მ.; ფლოტის ხარჯი: დაზიანებული გემები იაპონიას დაუჯდა—109,220,600 მ., რუსეთს—147,972,000 მ.; ყუმბარები: იაპონიას—129,929,600 მ., რუსეთს—135,258,600 მ.; ნაღმები: იაპონიას—10,260,000 მან., რუსეთს—6,840,000 მან.; ქვა-ნახშირი: იაპონიას—5,400,370 მანეთი, რუსეთს—760,000 მანეთი; მომატებულ ჯამაგირსა და პროვიანტზე: იაპონიას—5,763,570 მ., რუსეის—6,764,000 მ. სულ იაპონიას ფლოტზე დაეხარჯა—260,575,140 მ., რუსეთს—297,594,600 მ. მაშასადამე იაპონურ გაზეთის ანგარიშით, იაპონიას ჯარსა და ფლოტზე სულ 472,884,490 მან. დაუხარჯავს, რუსეთს—837,069,060 მან. დაღუპულ გემების ზარალი არაა ნაანგარიშები. („რ.“).

ტყვე რუსის წერილი. ერთს დატყვევებულ რუსის სალდათს იაპონიიდან წერილი მოუწერია თავის დედისათვის: „იაპონია, ქალ. მასუამა 4 მაისი, 1904 წ. საყვარელო დედავ! პირველად ყოვლისა, თავდაბლად მოგიკითხავთ და ღმერთსა ვსთხოვ თქვენთვის ყოველ სიკეთესა და ჯანმრთელობასა. შემდეგ საყვარელ ძმებსა და დებს მოვიკითხავ. თუ ჩემს ამბავს იკითხავთ, ღვთის მადლით, კარგადა ვარ; ტყვედა ვარ იაპონიაში, ქალ. მასუამაში. ტიურენჩენთან ბრძოლის დროს თეძოში დამკრეს და დამატყვევეს. მადლობა ღმერთს, ტყვია შიგნით არ შესულა და იარა მალე მომირჩა. გატყობინებთ, რომ აქ კარგად გვაჭმევენ და იაპონიის მთავრობა და ხალხი კარგად, კეთილად გვექცევა. მშვიდობით. ომი რომ გათავდება, თუ ღმერთმა ბრძანა, გნახავთ.

პეტრე ხატისი“

ახალი ამბავი

◆ როგორც ვწერდით, პედაგოგთა ინიციატივით შესდგა წრე, რომელმაც მოაწყო **უფასო სასადილოები ღარიბ მოწაფეთათვის.** ამ საქმის მეთაურთ სთხოვეს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, უშუამდგომლოს თავად-აზნაურთა კრების წინაშე, რომ წრეს წელიწადში 2000 მანეთი დაენიშნოს ბანკის მოგებიდან.

◆ ტფილისის საგუბერნიო ექიმი უკვე დაბრუნდა **ახალციხიდან,** სადაც ადგილობრივ ადმინისტრაციის თანადასწრებით სანიტარის მხრივ დაათვალიერა ქალაქი და შესაფერი განკარგულება მოახდინა. ქალაქი სასანიტარო უბნებად გაუყვიათ და მზრუნველები დაუნიშნავთ.

◆ როგორც ბათუმელი გაზეთი გადმოგვცემს, 4 ივლის ნოსირში (სენაკის მაზრა) **მოუკლავთ მწერალი** ნოსირის სოფლის საზოგადოებისა ქართველიშვილი. მკვლელი, რომლის ვინაობაც ჯერ არ იციან, ჩასაფრებულიყო და ისე მოეკლა მწერალი.

◆ ტფილისის მაზრის **მარტყოფის სასოფლო სამკურნალოს** გამგედ დაინიშნა ექიმი ჯაფარიძე.

◆ გორის მაზრის სოფელ ძეგვს ერთ გლეხის ოჯახში აღმოჩენილა **კეთროვანებით ავადმყოფი.**

◆ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ სოფ. მუხრანს **ფილოქსერა გაჩნდათ.** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის განკარგულებით, შესდგა საფილოქსერო დასი, რომელიც ხვალ მიდის მუხრანს გამოსაკვლევად და საჭირო საშუალებათა მისაღებად.

◆ **ხოლერა ქალაქ რეშტშიაც** (სპარსეთი) გაჩენილა. როგორც ამიერ-კავკასიის სამკურნალო გამგეობამ აცნობა ტფილისის სასანიტარო კომისიას, ამ ქალაქში ორი კაცი გამხდარა ავად ხოლერით.

◆ 18 ივლისს გორში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია გაემგზავრა.

◆ სტუდენტები წ—ვა და ჯ—ძე გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ შემდეგ პირთ, რომელთაც ცოტაოდენი წვლილი გაიღეს პეტერბურგის სტუდენტის ლ. ზ. ფ—რიას სასარგებლოდ.

შემომწირველნი: ივ. ან ჯაფარიძე—2 მ. 50 კ., ვ. ბეჟანიშვილი 1 მ., X. X. 2—50, ვ. რუხაძე 50 კ., ვოლოხი 1 მ., ოცხელი 1 მ., გრიგოლ კემულარია 50 კაპ., მ. ქუთათელაძე 50 კ., გოკიელოვი 1 მ., ს. ბარქაია 50 პ., გ. ფეიქაროვი 30 კ., №. №. გ—ი 50 კ. და სულ 8 მ. 80 კაპ. აღნიშნული ფული უკვე გაეგზავნა დანიშნულებისამებრ“.

◆ ტფილისის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ზედამხედველმა ტერ-სიმონიანცმა აცნობა გამგეობას, რომ ნაძალადევში გრიგოლ ბესაშვილმა ქალაქის მიწა მიითვისა და ზედ ხის სახლი ააგოო.

◆ გოლოვინის პროსპექტზე სარაჯიშვილის სახლში მოვაჭრეს ელიაზარ გასპარიანცისთვის ღამე, 16 ივლისს, ვიღაც ქურდებს მოუპარავთ ფულად 192 მან. და ვერცხლისა და ოქროს ნივთები 300 მან. ქურდები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

◆ ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა ა. ი. როჟდესტვენსკიმ სთხოვა გუშინ სასანიტარო კომისიას მე-7 ნაწილის სასანიტარო დასში ჩამრიცხეთო.

რუსეთის ქრონიკა

◆ ომის დაწყების შემდეგ იმიერ-ბაიკალის რკინის გზაზე (ციმბირში) სხვა-და-სხვა სადგურებზე სასადილოები გაჰმართეს შორეულ-აღმოსავლეთში მიმავალ სალდათებისათვის. ციმბირის გაზეთები იუწყებიან, რომ ამ სასადილოთა გამგე-მზარეულები შემდეგ სამარცხვინო ოინებს ხმარობენ თავის საკეთილდღეოდ. ჯარის მატარებლის მოსვლამდის 1/2 საათი რომ დარჩება, მაშინ იწყებენ სადილის მომზადების თადარიგს და, ამიტომ სალდათებს მოუხარშავი, უგემური სადილი დაჰხვდებათ ხოლმე; ცოტასა სჭამენ და ისევ განაგრძობენ გზას. მატარებლის წასვლის შემდეგ კი მზარეულები განაგრძობენ სადილის მზადებას და შემდეგ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ასაღებენ.

◆ სტამბოლიდან სწერენ გაზ. „ადეს. ნოვ.“-ს, რომ ინგლისის ზოგიერთი საზოგადოებანი აღარ ჰქირაობენ გემებს რუსეთის ნავთ-სადგურებში საქონლისათვის გასაგზავნად, სანამ არ გამოირკვევა, თუ რა შედეგი მოჰყვება ინგლის-რუსეთის უთანხმოებას რუსების მიერ გემ „მალაკკა“-ს დაღუპვის გამო.

◆ ქ. სამარიდან იუწყებიან, რომ იქ მრავალ მუშას მოუყრია თავი და უბინაობის გამო მდინარე ვოლგის პირას ცის-ქვეშ ათევენ ღამეს. ქალაქის პატრონები არ აქცევენ ყურადღებას მუშების მდგომარეობას.

◆ ვლად.-ვოლინის მაზრიდან სწერენ გაზ. „ნოვ. ვრ.“-ს, რომ იქ რამდენიმე სოფელი დაუვლია ვიღაც უცნობ კაცს, აფიცრის ფორმაში გამოწყობილს, და გამოუცხადებია: სამხედრო მთავრობამ გამომგზავნა სათადარიგო ჯარის კაცების გამოსაწვევადა და შორეულ-აღმოსავლეთში გასაგზავნადაო; შეუკრებია სათადარიგო ჯარის კაცნი, მათი სია შეუდგენია და მერე უთქვამს, თუ ამდენ და ამდენ ქრთამს მომცემთ, გავანთავისუფლებთო. გაიძვერა ვითომდა აფიცერს, ფული შეუკრებია და გაპარულა.

◆ მოსკოვში დაბრუნდა იქაურ მდიდარ ვაჭართა და მექარხნეთა სპარსეთში გაგზავნილი ექსპედიცია, რომელსაც ბაზარი უნდა მოეპოვებინა სპარსეთში რუსეთის ნაწარმოებისათვის. ექსპედიციამ 3 თვე დაჰყო სამხრეთ სპარსეთში, დაიარა სხვა-და-სხვა ადგილები 30 შეიარაღებულ ყაზახით და ცნობები შეჰკრიბა იმის შესახებ, თუ რაგვარ საქონელს საჭიროებენ ადგილობრივი მკვიდრნი. ექსპედიციის წევრთა სიტყვით, სამხრეთ-სპარსეთში არავითარ რუსეთის ნაწარმოებს არ შეჰხვდება კაცი, და მხოლოდ ინგლისისა და საფრანგეთის ნაწარმოები საღდება.

◆ პეტერბურგის ქალაქის გამგეობის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებით თვით-მმართველობას პეტერბურგის სხვა-და-სხვა სასწავლებლებში 1,049 სტიპენდიანტები ჰყოლია თავის ხარჯზე.

◆ ნოვგოროდის გუბერნიაში გაუმართავთ განსაკუთრებული სკოლა, სადაც მოწაფეთ ასწავლიან ახალი ტიპის შენობათა აგებას; ამ შენობათ ადვილად ვერ მოეკიდება ცეცხლი, რომელიც მუსრს ავლებს რუსეთის სოფლებს.

◆ ჟელეზნოვოდსკიდან იწერებიან, რომ იქ აუარებელ ხალხს მოუყრია თავი. არსად სასტუმროებში ტევა აღარ არის. იუსტიციის მინისტრის ამხანაგმა ტ. ს. მანუხინმა ძლივს იშოვნა ბინა სახაზინო სასტუმროში. ფინანსთა მინისტრის კოკოვცევის მეუღლე 5 დღეა თავის ვაგონში ცხოვრობს და იცდის, სანამ ამ სასტუმროში ოთახი განთავისუფლდება.

პრესსა

„რაზვედჩიკ“-ში დაიბეჭდა ახალი წერილი სამხედრო მწერლის და რუსეთში ცნობილ გენერლის დრაგომიროვისა. გენერალი თავისს წინანდელ წერილს ეხება და ამბობს, რომ პირველ ჩემ წერილში გამოთქმული აზრი ზოგმა უკუღმა გაიგოო:

> ჩვენ ისე მივეჩვიეთ მონურ ენას, რომ თვით სტრიქონებს არა ვკითხულობთ, არამედ საიდუმლო აზრს ვეძებთ სტრიქონსა და სტრიქონს შუა. მგონი, ყველასათვის აშკარაა, რომ მსჯელობა შევვიძლიან ვიქონიოთ იმის გამო, რაც მოხდა და არა იმისა, რაც ხდება ან უნდა მოხდეს.

ჩემ წერილშიაც,—ამბობს გენერალი,—შევეხე ომის პირველ, უკვე განვლილ, ხანას, მაგრამ ზოგიერთებმა ამ წერილში ჩვენის

ცერემონიის გახსნისათანავე პირველი სიტყვა წარმოსთქვა ფერდ. ბიუსონმა, წერა-კითხვის ლიგის თავმჯდომარემ, რომელმაც მაყურებელთ დაუხატა მოკლე ისტორია ლიგის დაარსებისა, აღნიშნა ის ნაყოფი, ამ ლიგამ საფრანგეთის ერის რომ მოუტანა, და, სხვათა შორის, სთქვა.

„დღეს უკვე არსებობს ეს საერო სკოლა, მაგრე მკაფიოდ გათვალისწინებული რევოლიუციის დიდ კრებათა მიერ; სკოლა, უარყოფილი სხვა-და-სხვა სარეაქციო წრეთა მიერ ვითა ნაყოფი ოცნებისა, ვითა რამ უტოპიური და მიუხედავად ყოველისავე ამისა ეს სკოლა მაინც სანატრელი იყო იმ საუკუნის მოწინავე მოაზროვნეთათვის, ვითა აკვანი მომავალის რესპუბლიკისა. არსებობს ეს სკოლა, ეს ყველაზე მეტად საეროვნო დაწესებულება ჩვენთა საეროვნო დაწესებულებათა შორის! არსადაა დაბა, არსადაა სოფელი, რომ არ იყოს გახსნილი ეს საზოგადო სახლი, სტუმართა მოყვარე და მოსიყვარულე სახლი ერმათა, სახლი, რომელიც არავის ეკუთვნის, რადგან საკუთრებაა ყველასი.

ეს სკოლა პირველი ხატია სამშობლოსი, პირველი სახელოსნოა, სადაც საფრანგეთის შვილნი სამოქალაქო ძმობასა და ურთიერთ სიყვარულსა სწავლობენ.

რესპუბლიკამ ერთის მოდგმის განმავლობაში იმდენი რამ მოასწრო და იმდენი რამ გააკეთა, რაც მონარქიამ და ეკლესიამ ესდენ საუკუნეთა განმავლობაში ვერა გააკეთეს.

და აჰა, გამობრწყინდა სასწაული გონებისა და თავისუფლებისა! და აქ შემოკრბით, რომ გადიდოთ ეს სასწაული! პირველ დაწყებითის სკოლის დღესასწაული დღესასწაულია მთელის საფრანგეთისა! დღევანდელი მოწაფე ხვალინდელი მოქალაქეა! დღეს რესპუბლიკაა, სკოლას რომ აცხოვრებს, ხვალ კი ეს სკოლა სულს ჩაუდგამს და აცხოვრებს იმავე რესპუბლიკას.

განა მარტო პარიზში-კი არ ვდღესასწაულობთ ამ დიდ დღესასწაულს. ამ სასახლის კედლებს გარედაც გხედავთ იმავე დიდებულს სურათს. საფრანგეთის სოფლის საზოგადოებანი ათასობით იყოფენ შუაში ჩვენთან ერთად ამ საზოგადო სიხარულსა. ამ ჟამად ჩვენ გვესმის ხმა მხიარულებისა არა მარტო ამ დარბაზში, არამედ ყველგან მთელს საფრანგეთში, ჩრდილოეთით სამხრეთამდე, ყოველ დიდ ქალაქიდან, ყოველ დარიბულ ქოხიდან! გრგვინავს და სჭექს ეს ხმა ძლიერად. მთელი ერი ერთად მადლობას უხდის რესპუბლიკას, რომელმაც იწამა გონიერება და აღზარდა ხალხი!..

დადგა დღე, როდესაც, თანახმად წინასწარმეტყველურ სიტყვებისა, იმ სიტყვებისა, რომელნიც გამბეტამ, ჩვენის (წერა-კითხ. ლიგის) პირველის კონგრესის თავმჯდომარემ, სწორეთ ამ დარბაზში წარმოსთქვა: რესპუბლიკანური პარტია ამიერიდან სხვა არა არის რა, თუ არ ერი, რომელსაც შეგნებული აქვს თვისნი უფლებანი და თანამდებნი და დღეს სწორედ ეს ერია, თვისს შვილებს დღესასწაულს რომ უწყობს და ამით თავისს საკუთარს თავს უწყობს ამავე დღესასწაულსა.

ჯერ არს, ბატონო რესპუბლიკის თავმჯდომარევ, რომ ასეთი მანიფესტაცია თქვენის მფარველობის ქვეშ მომხდარიყო; ჯერ არს აგრეთვე პატივი და დიდება მივაგოთ მთავრობას, რომელმაც ესდენი ღვაწლი შეიმოსა, რათა სამუდამოდ შეეტანა საეროსკაცო ხასიათი და მიმართულება სკოლასა და სახელმწიფოში. ქვეყანა, რომელიც ასეთს მთავრობას მხარს უჭერს ჭმუნვასა და ბრძოლაში, მხარს უჭერს დღეს იმავე მთავრობას შვებასა და სიხარულშიაც“.

ბიუსონის სიტყვამ განუწყვეტელი ტაშისცემა გამოიწვია დამსწრეთა შორის. ამავე დროს ფეხზე მდგომარე მაყურებელნი, კომბისკენ პირქცეულნი, ტაშის კვრით ვაშას უძახდნენ საეროსკაცო სკოლის მფარველსა და ქომაგს. ორკესტრმაც საუცხოვოდ შეასრულა ჰიმნი, განგებ ამ დღესასწაულისთვის შეთხზული.

ბიუსონის შემდეგ დიდს ხანს ილაპარაკა საერო განათლების მინისტრმა ბ-ნმა შომიემ. მოიხსენია, თუ რამდენი შრომა მეიქმნა საჭირო, რომ სწავლა-განათლების კანონები განხორციელებულიყო, რომ ამ კანონებს პატივი მოეპოვებინა ყველასი, იმ კანონებს, რომელიც წინდია ხალხის მეობადობისა. სხვათა შორის, გაახსენა დამსწრეთ ტექსტი 1872 წ. ვერსალში ერმით გაგზავნილ თხოვნებისა:

„მხედველობაში ვღებთ რა,—ამბობდნენ თხოვნის ხელის-მომწერელნი,—რომ გონებასაც განათლება იმდენად საჭიროა, რამდენად სხეულს სასმელ-საჭმელი; რომ, როგორც გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, ხალხის ზნეობა იმდენად მაღლა სდგას, რამდენად ეს ხალხი ნასწავლია; რომ სახელმწიფოში, სადაც საერთო ხმის მიცემა არსებობს, ყველა მოქალაქეს უნდა ესმოდეს თვისნი უფლებანი და თანამდებობანი,—ქვემორე ამისა ხელისმომწერნი ვთხოულობთ, რომ პირველდაწყებითი სწავლა იქმნეს სავალდებულო, უსასყიდლო და საეროსკაცო ორისავ სქესისათვის ყველა სკოლებში, რომელთაც სოფლის საზოგადოებანი, დეპარტამენტები და მთავრობა ინახავენ ანუ შემწეობას აძლევენ.

სავალდებულო, იმიტომ, რომ ამას მოითხოვს ინტერესი კერძო პიროვნებისა და საზოგადოებისა, რათა მათ შორის არსებობდეს ურთიერთი თანხმობა.

უსასყიდლო, რათა თანასწორობა დამყარდეს ადამიანთა შორის და სიავესა და ბოროტებას მიზეზი წაერთვას ყოველი.

საეროსკაცო იმიტომ, რომ პრინციპი—მეცნიერება სკოლასა, ხოლო სარწმუნოებრივი სწავლა ეკკლესიაში,—ერთად-ერთი პრინციპია, რომელიც უებარ წამლად ედება სინიდისის თავისუფლებას“.

ორატორმა თავისი გრძელი და მშვენიერი სიტყვა დაასრულა ედგარ კინეს სიტყვებით:

„მე მარტო ის-კი არ მინდა,—სთქვა კინემ 1848 წ. რევოლიუციის მეორე დღეს,—რომ ხალხს პური არსობისა ჰქონდეს; მე ისიც მინდა, რომ ეს ხალხი ხელმწიფობდეს, ამიტომ ამ ხალხს სახელმწიფო ღირსებასაც ვსთხოვ; მეტყვიან, მეტის-მეტსა თხოულობთო. მართალია, ცათამდე ვამაღლებ ხალხის, დემოკრატიის იდეალს, განა ნუ დავივიწყებთ, რომ ეს ხალხი, მაღლა, სულ მაღლა უნდა დავსვათ, რომ მთელი ქვეყანა უყურებდეს და მთელს ქვეყანას გზას უჩვენებდეს ვითარცა კანდელი“.

ტროკადეროს ცერემონიის შემდეგ ჯილდოები დაურიგეს დამსახურებულ მასწავლებელთ და ხალხმა „მანქანათა გალერეისაკენ“ (გამოფენის შემდეგ დარჩენილი უზარმაზარი შენობა, სადაც ახლაც სამეურნეო გამოფენა იმართება ხოლმე) გასწია. აქ 300,000 მეტმა დიდმა და პატარამ მასწავლებლებმა, ბავშვებმა, მათმა მშობლებმა მოიყარეს თავი. მათთვის გაზეთ „მატენ“-ის წყალობით სხვა-და-სხვა გასართობები იყო გამართული, რომელთა აღწერა მეტად გაგვიგრძელებდა სიტყვას.

ასე დამთავრდა ეს დაუვიწყარი დღესასწაული სკოლისა, პირველ-დაწყებითის სწავლა განათლებისა, რომლისათვისაც ამდენი ღვაწლი გასწია საფრანგეთის კეთილშობილმა შვილმა ჟან მასემ. 19 თიბათვე და იმ დღეს მთელს საფრანგეთში გამართული მანიფესტაცია იყო გამარჯვება, აპოთეოზი რესპუბლიკანურის სკოლისა, რომელიც ესდენ საუკუნეთა განმავლობაში ებრძოდა კლერიკალიზმს, სიბნელეს, ბოროტს სძლია, სძლია საუკუნოდ და გამარჯვებული გამოვიდა ჭეშმარიტების გზაზე. საეროსკაცო სკოლის წინ დღეს იშლება იმედით აღსავსე მომავალი, მომავალი მშვიდობიანობისა და ბედნიერებისა. ხოლო ხალხი, რომელიც აღიზარდა რესპუბლიკანურს სკოლებში, იმედით გამსჭვალული სდგამს ფეხს ახალს ცხოვრებაში, განთავისუფლებული მრავალ-საუკუნოვან გონებრივ სიბნელისაგან. ნეტარება იმ ხალხს, რომლის შვილებმა ასეთი სკოლა შექმნეს და უმეტესად ნეტარება იმ ხალხს, რომელიც ასეთს სკოლაში ეწაფება გონებრივსა და სამოქალაქო ჭეშმარიტებასა და სინათლეს...

თ. ხ.

სამხედრო მოქმედების კრიტიკა დაინახოსო. დრაგომიროვს მხედველობაში მხოლოდ იაპონელები ჰყოლია საზოგადოდ და კერძოდ გენერალი კუროკი, ამიტომ ამ მეორე წერილშიაც ამბობს:

ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ბრძოლის პირველი ხანა იაპონელებმა მოიფიქრეს და შეასრულეს სამაგალითოდ. ამასთან ჩვენ ბრალი არ მიგვიძღვის, რადგან იმ დროს ჩვენ უთუოდ არ შეგვეძლო წინააღმდეგობა გაგვეწია. ყოველს ეჭვს გარეშეა ისიც, რომ იაპონელი გენერლები მამაცები არიან, იციან თავის გამოდება და „გამარჯვების ან დამარცხების“ გატაწყვეტა; მსხვერპლს არ ერიდებიან მაშინ, როდესაც, იმათის აზრით, საჭიროა მსხვერპლი. არ ერიდებიან იაპონელები არც ხიშტებით ბრძოლას. იციან აგრეთვე, რომ ზურგის ჯარი ინახება უკანასკნელ შეტაკებისთვის და არა უკან დახევის დროს თავის დასაცველად. შეიძლება ეხლაც გამოხტეს საიდანმე ყმაწვილი კაცი და წამოიძახოს ამ ჩემს სიტყვებზე: „მაშ, თქვენის აზრით, ჩვენ, რუსებმა კი, არ ვიცით ყოველივე ეგაო? რასაკვირველია, ვიცით, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ეხლა, როდესაც ჩვენის მხრივ არა ყოფილა არც ერთი დიდი ბრძოლა, სიტყვების რახა-რუხის გამოვა, რაიცა უმჯობესია მივანდოთ ჩვენის ქვეყნის ერთ წრის პატრიოტებს. მე-კი ომს დავუბრუნდები. არ შემიძლიან არ შევნიშნო, რომ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ნათქვამი იყო პირველ წერილში, ე. ი. კუროკი აღმოსავლეთით, ხოლო ოკუ სამხრეთით იდგნენ სრულიად მშვიდობიანად იმ დრომდე, ვიდრე არ გამოირკვა ჩვენი ჯარის მოძრაობა ლიაოიანიდან პორტ-არტურისკენ. ეს „მშვიდობიანობა“ აიხსნება იმით, რომ იაპონელებს ერთად ერთი აზრი აქვთ—ხელი შეუწყონ პორტ-არტურის ალყას და ჩრდილოეთიდან გზა შეუკრან ჩვენ ჯარს. სხვა საგანი იაპონელებს არა ჰქონდათ. საკმაო იყო ჩვენის ჯარის გაგზავნა პორტ-არტურისაკენ, რომ ორივე გენერალი, კუროკი და ოკუ, უეხზე დამდგარიყო, ამას გარდა კუროკი თავის ჯარის ნაწილით ოკუს ჯართან წასულიყო შესაერთებლად, ხოლო ლიაოიანთან განგებ ემოქმედნა, რომ მოვეტყუებინეთ, ვითომ გზის გადაჭრას გიპირებთო. აი, ჩემის აზრით, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ იაპონიის ჯარი ამ ბოლო დროს ხან წინ მიდის და ხან უკან, ასე რომ კაცი ვერაფერს გაუგებს.

გენერალ დრაგომიროვის აზრით, იაპონელების განზრახვა ლიოდუნის და იმასთან ერთად პორტ-არტურის დაჭერაა. მანჯურიის დაპყრობაო, ამბობს გენერალი, ახალი კამპანია, ახალი საქმე იქნება და თუ ეს საქმეც განიზრახა იაპონიამ, მაშინ ჩინეთს უნდა შეუერთდეს. ჩინეთს შეუძლიან მიაშველოს იაპონიას როგორც ჯარი, ისე ცხენები და სხვა.

⁂

გაზეთი „კიევსკი ოტკლიკ“-ი არჩევს ახალს კანონს მრეწველთა პასუხისგების შესახებ. გაზეთი გვიჩვენებს ზოგიერთ ნაკლულევანებას ამ კანონისას.

2 ივნისის კანონს, მართალია, დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სავსებით ვერ აკმაყოფილებს არსებულს მოთხოვნილებას და ამიტომ კიდევ საჭიროა ახალი კანონები მუშათა კანონმდებლობაში, რათა მრეწველთა პასუხისგება უბედურ თხვევაშემთ გამო ნამდვილად შეეფერებოდეს მოთხოვნილებას. დღევანდელი კანონი რომ სრული არ არის, შემდეგი გარემოებანიც ამტკიცებენ: პირველად ყოვლისა კანონი უყურადღებოდ სტოვებს სახელოსნოებისა და სასოფლო-სამეურნეო მუშებს. შემდეგ, კანონს მხედველობაში აქვს მრეწველთა პასუხისგება მხოლოდ უბედურ შემთხვევათა დროს, ესე იგი, თუ მუშა დაშავდა ან მოკლულ იქმნა; მაგრამ კანონი არაფერს ამბობს იმის შესახებ, ვალდებულია თუ არა მრეწველი დააჯილდოვოს მუშა, თუ იგი დაავადმყოფდა ან მუშაობის უნარი დაეკარგა თვით სამუშაო საქმის თვისებათა გამო? ბევრი ისეთი სამუშაო არის, რომ მუშა თან-და-თან უძლურდება, უდროოთ ბერდება და ძალ-ღონეს ჰკარგავს. სამართლიანობა მოითხოვს, რომ ასეთს შემთხვევაშიაც დაწესებულ იქმნას მრეწველთა პასუხის გება; ახალი კანონი კი სრულიად გვერდს უხვევს ამ გარემოებას. მართალი უნდა ვთქვათ, ასეთი შემთხვევა უფრო ყურადღებაში მისაღებია, ვიდრე მუშის უცაბედი დასახიჩრება: მუშა დაშავდება და დასახიჩრდება ხშირად თვით მუშაობის პირობათა გამო, საქმის ცუდათ მოწყობის გამო; მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ასეთი გარემოება მაინც ჰნიშნავს, რომ მუშის მხრითაც იყო აქტიური მოქმედება! ეს-კი არ ითქმის მუშის თან-და-თან დაუძლურებაზე: აქ მუშის ნება, მუშის თვითმოქმედება არაფერს შუაშია და ყოველივე დამოკიდებულია თვით სამუშაო საქმის თვისება-ხასიათზე. ამიტომ, ამგვარ შემთხვევათა დროს პასუხისგების არ არსებობა უსამართლობა არის და მოასწავებს ახალ კანონის სისუსტე-ცალმხრივობას. დასასრულ აღსანიშნავია ისიც, რომ ახალის კანონით შეიზღუდა თვით საზღაურის რაოდენობაც: წინად სასამართლო პრაქტიკამ უფრო მეტი ჯილდო შემოიღო დაშავებულ მუშათათვის, ვიდრე ახალს კანონშია დაწესებული.

წ ე რ ი ლ ე ბ ი

კახეთი. უფრო და უფრო ხშირდება ქურდობა და ავ-კაცობა. მკვიდრნი ამა ბუნებით შემკულის მხარისა ითმენენ ენით გამოუთქმელს შეწუხებას და სულის ხუთვას. უყურადღებობა არის იმ მხრივ, რაიც უფრო სასარგებლოა და სანუგეშო. პატიოსანი კაცი ძნელად საპოვნელია. ყველა სცდილობს პირფერი სიტყვა არ დაზოგოს მათთვის, ვისთვისაც საჭიროა იგი. ყველას შეუძლიან მხოლოდ თავის გულს ელაპარაკოს და სხვას კი არავის გაუზიაროს აზრი. თუ ასე არა, იკარგება არსებითი ლუკმა და ვინ იცის კაცს კიდევ რა არ მოელის· რა ჰქნას ბეჩავმა? დღისით ოფლში უნდა იცუროს, ღამე კი თოფ-იარაღში ჩამჯდარმა უყარაულოს თავის ავ-კარგს. ამასთან უნდა გაიკეროს პირი და თავის, ხელით და სახის რომელიმე ასოს გამომეტყველებით უნდა ანიშნოს, რომ იგი არის ადამიანი და ესმის კიდეც ამა ქვეყნიური გარემოება და უგემური ცხოვრება. ენა კი, ენა, რომელიც მონიჭებულია იმისთვის, რომ კაცმა გამოსთქვას თავისი აზრი, დადუმებულია. გპარავენ, ძალით გართმევენ, გცემენ, გლანძღავენ, გაბეზღებენ და სხვა, მაგრამ უნდა მოითმინო და არ გადაუხვიო საღმრთო წერილის სიტყვებს, რომელიც ჰბრძანებს: „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენი“ ო. კარგი და პატიოსანი, ჩვენ თუ ძალაუნებურად მოვითმენთ, ვიპოვით სულს; იმათ რაღა ეშველებათ, რომელნიც არამც თუ არ ითმენენ, პირიქით ყოველს ღონეს ღონობენ ამ მოთმენილთა შევიწროვებისა და დაბეჩავებისათვის. ჰხედავ, რომ კაცი უსინიდისოდ სტყუის და სხვა და სხვა უწესოებას იდენს, მაგრამ არამც თუ პირს საიმედო კლიტე უნდა დაადო, რომ არა წამოგცდეს რა, ყურებში თითიც უნდა დაიცო, თვალები დახუჭო ან მოარიდო და თავი აჩვენო, ვითომც არაფერსა ჰგრძნობ, თორემ... ქურდობას და სხვა ავ-კაცობას არავითარ ყურადღებას არავინ აქცევს, მაგრამ თუ რომელსამე უსწავლელს სიტყვა გადაუბრუნდა, ამას კი მიაქცევენ ყურადღებას და სასამართლოს სკამზედ წამოასკუპებენ. ავ-კაცები კახეთში ვაზებს კაფავენ, რომ ღვინო არ მოვიდეს და თუ მოვიდეს, არ გაიყიდოს, რომ სიმდიდრით გათამამებულმა არა წამოროშოს რა. სახლებს სტეხავენ და გააქვთ, რაც მოჰხვდებათ, რომ ამ ფიქრებში გაებნენ და სხვა რამეზედ არ იფიქრონ. სკოლებში დედა ენა ისპობა და ჩვენი „პედაგოგებიც“ ბანს აძლევენ. რათა? იმისთვის, რომ სწავლა მეტი არ მოუვიდეთ.

გამვლელი

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 ივლისი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მისს უდიდებულესობას 18 ივლისს: „18 ივლისს სამხრეთ ფრონტზე იაპონიის სამმა არმიამ განაახლა იერიში და წინსვლა. ჩვენი ჯარის მოწინავე რაზმები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ იაპონელებს და თანდათან უკან იწეოდნენ ხაიჩენისაკენ. სიმუჩენთან მყოფმა ჩვენმა რაზმმა კარგა ხანს შეაჩერა მტერი, რომელიც მარჯვენა ფრთისკენ გაემართა. ამ რაზმმა დიდი ზარალი მიაყენა იაპონელებს. გენერალ ოკუს დაგუშანის ჯარი ამ დღეს სცდილობდა სიმუჩენსა და ხაიჩენში მყოფ ჩვენ ჯარებს შუა შეჭრას. იაპონელები მოდიან იანშუგოუდაპუძა-ლაოხანძის მხრით (ეს სოფლები მდებარეობს სიმუჩენის დასავლეთით). აღმოსავლეთის მხარესაც ამ დღეს დილიდან იაპონელთა ჯარი წინ წამოვიდა. იაპონელები საიერიშოთ მოდიან ჩვენის ჯარის მარჯვენა ფრთეს წინააღმდეგ; აგრეთვე უვლიან ჩვენ ჯარს საიმაძ-ლიაოიანის მხრით. მტრის ჯარი გამოემართა აგრეთვე იმ ჩვენი ჯარის წინააღმდეგ, რომელიც გუციაძის აღმოსავლეთითაა. მიღებულ ცნობებით, ინკოუში იაპონელებს ბლომა ჯარი დადაჰყავთ ნაპირზე. ამ ჯარს იცავს რამდენიმე სამხედრო გემი“.

კოპენჰაგენი. დილით დიდ ბალტაზე გაიარა რუსის ორმა ნაღმიანმა და ორმა დიდმა გემმა. ეს გემები ჩრდილოეთისკენ მიდიოდნენ. ზედ რუსის სამხედრო დროშა იყო აფრიალებული.

მუკდენი. (საკუთ. კორესპ.). მუკდენიდან აღმოსავლეთისკენ გაგზავნილი მზვერავები დალინამდე მივიდნენ, მაგრამ არსად მზვერავებს მტერი არ უნახავთ. ჩინელთა სიტყვით, იაპონელთა კარგა ბლომა ჯარი ტაიძიჩეს მარჯხენა ნაპირზეა.

ტამბოვი. ტამბოვის ეპარქიაში სამღვდელოების მიერ შეგროვებული და ყულაბებით ეკკლესიებში შეკრებილი თანხა 55 ათასს მ. მეტს შეადგენს; აქ ჩათვლილი არ არის ტამბოვში შეგროვებული ფული და სამღვდელოებისაგან და მონასტრებისაგან ფლოტის გასაძლიერებლად შეწირული 15 ათასი მან.

ტოკიო. ვლადივოსტოკის ესკადრა დაბრუნდა ვლადივოსტოკში. სავარჯიშო გემი „კოტონომარუ“ არ დაზიანებულა.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). ტოგოს დაგვიანებულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ 11 ივლისს ბრძოლა იყო ნაღმიან გემებსა და სხვა პატარა გემებ შორის. იაპონელებმა ისროლეს 3 ნაღმი, რომლებიც აფეთქდნენ. ომის შედეგი არ ვიცით, რადგან ხშირი ნისლი იყო.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). საბოლოოდ გამოირკვა იაპონელთა ზარალი დაშიჩაოს ბრძოლაში. მოკლულია 12 აფიცერი და 136 სალდათი, დაჭრილია 47 აფიცერი და 848 სალდათი.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). უცხოელმა კონსულებმა მიჰმართეს იაპონიის კონსულს და სთხოვეს განუმარტოს მარშალ ოიამას ბრძანება, რომლითაც აეკრძალა ყველა გემებს ნიუჩუანში მოსვლა. ვაჭრებს ძალიან ეწყინათ ეს განკარგულება და ამბობენ, რუსები თავის დღეში არ აბრკოლებდნენ გემთა თავისუფალ მიმოსვლას· გასულ კვირას ხარბინიდან წამოსული ამერიკელი ვაჭრები ამბობდნენ, რომ იქ ყოველ დღე 22 ათასი სალდათი მიდის. პურს 6 წისქვილზე ფქვავენ. ჩინელებს მოაქვთ დიდ-ძალი ხორბალი და ყოველ ნაირად ეწევიან რუსებს, რომელნიც დიდ ფულს აძლევენ. ტომსკში გაგზავნილი იაპონელთა დაჭრილები დიდის ქებით იხსენიებენ რუსების მოპყრობას. რკინის გზა ჩინებულ მდგომარეობაშია.

შანჰაი. („რეიტ. სააგ.“). იაპონელებმა 15 ივლისს დაიწყეს საერთო იერიში პორტ-არტურის სიმაგრეებზე.

ნიუ-ჩუანი. („რეიტ. სააგ.“). გარცელდა ხმა, რომ რუსების საკანონირო გემი „სივუჩ“-ი დაღუპეს მდინარე ლიაოხეში. ნიუ-ჩუანის ზემოდ, 30 მილის მანძილზე, ხაიჩენისკენ განუწყვეტელი ზარბაზნების გრიალი ისმის.

ნიუ-ჩუანი. („რეიტ. სააგ.“). უკანასკნელ 2 დღის განმავლობაში გამწვავებული ბრძოლა იყო ხაიჩენის სამხრეთით იმ დროს, როცა 5 ათას კაცისაგან შემდგარი რუსების ზურგის ჯარი დაშიჩაოს ბრძოლის შემდეგ თანდა-თან უკან იწევდა.—„სტანდარდ“-ის კორესპონდენტი იუწყება კუროკის მთავარ სადგურიდან, რომ მოწინავე რაზმებ შორის სიწყნარეა. რუსების პოზიციებზე ცვლილება არ მომხდარა. ამ ჟამად არაფერი ცნობა არ არის იმის შესახებ, რომ რუსების საერთო ჯარი უკან იწევდეს.

შანჰაი. („რეიტ. სააგ.“) იაპონიის მთავრობამ მიანდო თავის კონსულს შანჰაიში შეატყობინოს ყველა გემებს ნიუ-ჩუანში ნუ მიდიხართო.

ვლადივოსტოკი. (საკუთ. კორ.). საზღვაო საავადმყოფოდან გამოუშვეს უკანასკნელი იაპონელი მეზღვაურები და სხვა შენობაში გადაიყვანეს, სანამ ნაპირს მოშორებულ ადგილებში გაჰგზავნიდნენ.—ქალაქში სიწყნარეა.—ხან ძლიერ ცხელა, 40 გრადუსზე მეტია ხოლმე, ხან კი ნისლიანი დღეებია.—ვაჭრები მოხერხებულად უმატებენ ფასებს.

18 ივლისი

ბერლინი. გაზეთი „ნორდ-დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ“-ი ამბობს: „პლევეს მოკვლა ყოველმხრივ განიხილეს გერმანიაში. მინისტრის მოკვლა აქ მიაჩნიათ საზიზღარ ბოროტ-მოქმედებათ, რომელიც ღირსია ყოველგვარის გაკიცხვისა. უმოწყალოდ მოკლული მინისტრი მსხვერპლია ბოროტის პროპაგანდისა, რომელიც მოქმედებს ყუმბარისა, ხანჯლისა და რევოლვერის შემწეობით და როგორც ასეთი მსხვერპლი გარდაცვალებული მინისტრი ღრმა მწუხარებას აღძრავს ჩვენში. ჩვენთან მეგობრულად განწყობილი რუსეთი, რომელმაც დაჰკარგა ენერგიული, ნიჭიერი და ერთგული სახელმწიფო მოღვაწე, ღირსია გულ-წრფელის თანაგრძნობისა განთიერებისა და წესიერების დამცველთაგან“.

რომი. ვატიკანში საფრანგეთის საელჩოს მდივანი პარიზს წავიდა.

პარიზი. პაპის ელჩი ლორენცელლი რომს წავიდა.

ხოტინი. მაზრის ბევრ ადგილას პურს მატლი გაუჩნდა.

ბაქო. ძმების ადამოვების ქარხანაში იწვის 4 რეზერვუარი მაზუთით სავსე. ცეცხლი დაიწყო ნაშუადღევის 1½ საათზე და თანდათან საშიშრად ძლიერდება.

19 ივლისი

ბაქო. 11 საათამდის ადამოვების ქარხანაში 15 მაზუთის რეზერვუარიდან დაიწვა 12. ზარალი ფრიად დიდია. ცეცხლი ჯერ არ გამქრალა. მახლობელი ქარხნები თუმაევისა და ნაგიევის მეტად საშიშარ მდგომარეობაში არიან.

კალუგა. ქალაქის საბჭომ საგანგებო სხდომა მოახდინა და დაადგინა, გადაიხადოს პანაშვიდი განსვენებულ შინაგან საქმეთა მინისტრის პლევეს სულის მოსახსენებლად. გაუგზავნოს პლევეს ქვრივს სამძიმრის დეპეშა და დაარსოს კალუგის ნიკოლოზის გიმნაზიაში, სადაც განსვენებულმა ოქროს მედლით კურსი დაასრულა, სამი სტიპენდია მის სახელზე.

რომი. „ობსერვატორე რომანო“-ში გამოცხადებულია ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა მოსპოს ოფიციალური დამოკიდებულება პაპისთან, რადგან, საფრანგეთის მთავრობის აზრით, პაპმა დაარღვია კონკორდატი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი ა. ავთ. ...ვისა, № 92, საზაფხულო ს. ბრაანიის ახლოს. (წ.—176—6)

ტფილისში, ელისაბედის ქუჩა № 19, სასტუმრო „ვერსალი“-ს პირდაპირ
იოსებ მაჭავარიანის
სახელოსნო
იღებს ყველანაირ შემოკვეთას როგორც სასტალიაროსას, ისე სადურგლოსას, იქვე იყიდება კარგი თვისების ნივთები: სასადილო „ბუფეტები“, სტოლები და წიგნის შკაფები.
კრიზისის გამოისობით დაკლებულ ფასებში. (10—6.—5)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო ლდათა და თვალით ავადმყოფთათვის, შპიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადარეულ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

დაიბეჭდა ცალკე წიგნათ და იყიდება ქართულ წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი
მამულიშვილობა და მეცნიერება
ივ. ჯავახიშვილისა.
ფასი 15 კაპ. (10—6.—7)

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში
ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად დამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავნა ტფილისში საკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ... მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:
სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწესებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი (1/20) ვედროსა.
კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „
ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზე იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი (1/20 ვედრისა), ჭურჭლის ბე 6 კაპ.
ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. **ტელეფონი № 1013.**
შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დამზადებული (ექსპორტ) და ღვინის ჭურჭლებში ჩასხმული. (50—35—26)